

ხელშეკრულება. სწავლის საფასური, სხვა ფინანსური ვალდებულებები

1. ხელშეკრულება

1. ბნსუ-ს და სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება განათლების მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება). არასრულწლოვანი სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში განცხადებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი;
2. ხელშეკრულება ფორმდება 02 თანავარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერ წარმომადგენელს), მეორე - რჩება ბნსუ-ში. თუ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი არასრულწლოვანია, ხელშეკრულებას უნდა დაერთოს მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
3. ხელშეკრულება მოქმედებს ბნსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სწავლის მთელ ძირითად ვადაზე;
4. ხელშეკრულებაში განისაზღვრება მხარეების უფლება-მოვალეობები, ბნსუ-ში კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის საფასურის ოდენობა და მისი გადახდის წესი, საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის პერიოდში მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის პირობები, ხელშეკრულების ვადა და სხვ. დაუშვებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გაზრდა ხელშეკრულების პირობების დარღვევით. ხელშეკრულების პირობები სწავლის საფასურთან დაკავშირებით ცნობილი უნდა იყოს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა რეგისტრაციის დაწყებამდე და ხელშეკრულების დადებამდე. აღნიშნული პირობები უცვლელად ხდება ხელშეკრულების ნაწილი. სტუდენტი-სთვის/პროფესიული სტუდენტისთვის ბნსუ-ში ჩარიცხვის წელს დადგენილი სწავლის საფასურის ცალმხრივად გაზრდა შესაძლებელია გარეობების არსებითი ცვლილების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
5. ბნსუ-ს და სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულება ითვლება შეჩერებულად სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში;
6. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას, ამ შემთხვევაში მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების შეწყვეტამდე. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია მოახდინოს ბნსუ-სთან სრული ფინანსური ანგარიშსწორება, რაც გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის არსებული ფინანსური ვალდებულების მთლიანად შესრულებას.

2. სწავლის საფასური. სხვა ფინანსური ვალდებულებები

1. ბნსუ-ში სწავლის საფასურის ოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განისაზღვრება თითოეული აკადემიური წლისათვის. ამავდროულად, ცვლილებები არ ვრცელდება სტუდენტებზე/პროფესიულ სტუდენტებზე, ვისთანაც ბნსუ-ს უკვე დადებული აქვს განათლების მომსახურების ხელშეკრულება;
2. სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, რომელიც სწავლობს სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით, ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური (სრული თვითდაფინანსების შემთხვევაში) ან სხვაობა ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და მის მიერ მიღებულ დაფინანსებას შორის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) დადგენილ ვადებში და ოდენობით: სასწავლო წლის სწავლის საფასურის ნახევარის (სემესტრის სწავლის საფასურის) გადახდა ხდება სემესტრის ადმინისტრაციული (პირველადი/სემესტრული) რეგისტრაციის ვადებში. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ხელშეწყობის მიზნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის გადაწყვეტილებით სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა შეიძლება მოხდეს რამდენიმე ნაწილად, ეტაპობრივად;
3. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასური და ის ფინანსური ვალდებულებები (მაგ., განმეორებით/საკუთარი სურვილით შესასწავლი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების კრედიტების ღირებულება, ჯარიმა, ბნსუ-სთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და/ან სხვ.), რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების დადების შემდგომ სწავლის პერიოდში;
4. განსაზღვრულ ვადაში და ოდენობით ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა არის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი. ჯარიმების ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე შენაგანაწესით, ხოლო მიყენებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა - მიყენებული ზიანის გათვალისწინებით;
5. ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სტატუსშეჩერებულ სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენის აუცილებელი პირობაა სტატუსის შეჩერებამდე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება.